

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #016/15<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა ნუგზარ მოსიძე (სტუდენტი)

### შეკითხვა

ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს პოზიციათა შეუთავსებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ურჩევს მას გარკვეული მოქმედებების შესრულებას, კლიენტი არ ასრულებს მას. შეუძლია თუ არა ადვოკატს შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა? რა პირობების დაცვით? კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე?

### ანალიზი

ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლების ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია პოზიციათა უთანხმოება - კლიენტი არ ითვალისწინებს ადვოკატის რჩევას და არ მოქმედებს მის შესაბამისად. ეს რჩევა, შეკითხვის მიხედვით, გათვალისწინებულია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კლიენტი არ დარჩება დაცვის უფლების გარეშე და მას არ ადგება ზიანი, რადგან, სავარაუდოდ აქვს საკმარისი დრო სურვილის შემთხვევაში სხვა ადვოკატთან დასაკავშირებლად და, ასევე, მან იცის რა მოქმედება და როგორ უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ პროცესი მის სასარგებლოდ დასრულდეს. შესაბამისად, პოზიციათა შეუთავსებლობა, ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა ჩაითვალოს საპატიო მიზეზად ადვოკატისათვის, რათა მან შეწყვიტოს კლიენტის წარმომადგენლობა შესაბამისი პირობების დაცვით.

### დასკვნა

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობს პოზიციათა შეუთანხმებლობა, რაც გამოიხატა კლიენტის არაერთგზისი ქმედებით, რის გამოც ვერ ხერხდება საქმის მის სასარგებლოდ დასრულება, ადვოკატს, შეუძლია შეწყვიტოს კლიენტთან სამართლებრივი ურთიერთობა.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c91e5b8b7cd7.pdf/18%20September%202015%20016.15.pdf>